ევროპული ტურნირების დღე
კბ (კოპენჰაგენი)–"დინამო" (თბილისი)" 1:4

კოპენჰაგენი, 19 ოქტომბერი.

კბ (კოპენჰაგენი)– "დინამო" (თბილისი) 1:4 (0:2).

კბ: კვისტი, ნილსონი (დ. ჰანსენი), პ. ჰანსენი, ლინდბიუ, ბოესენი, ეიდენბროდი, მიუსინგი (ფრიმანი), ნერეგორდი, ლაუდროპი, ანდრეასენი, ანდერსენი.

"დინამო", გოგია, კოსტავა, ხინჩაგაშვილი, კანთელაძე, ბუჯირი, მ. მაჩაიძე, ქორიძე (შენგელია), ჩივაძე, დარასელია (გ. მაჩაიძე), ყიფიანი, ჩელებაძე.

მსაჯი პერი (ჩრდილოეთ ირლანდია).

ჩვენ ვიცოდით, რომ კოპენჰაგენის კლუბი ევროპაში უძლიერესად არ ითვლებოდა, მაგრამ ამავე დროს ვიცოდით, რომ კბ–ს არა ერთხელ შემოუთავაზებია სიურპრიზები. მაგალითად, მადრიდის "ატლეტიკოსთვის", "ბორუსიასთვის", გუნდებისთვის, რომლებიც ყოველთვის აცხადებდნენ პრეტენზიებს მაღალ ადგილზე მსოფლიოს საფეხბურთო იერარქიაში.

გაუგებარი გრძნობები გამოიწვია ჩვენში იმ ამბავმაც, რომ კბ–მ პირველ წრეში გათამაშებიდან გამოთიშა "დანდი იუნაიტედი", რომელსაც საკუთარ მინდორზე გაუტანა სამი "მშრალი" ბურთი.

ყველა ეს ცნობა მეტოქის შესახებ ჩვენ გვაშფოთებდა დანიიდან ტელეტრანსლაციის დაწყებამდე. მატჩის დროს კი დანიური კლუბი უკვე ისე ძლიერი არ გვეჩვენებოდა, არ გაგვჭირვებია კბ–ს სენსაციური შედეგების ახსნაც. როგორ ძლიერადაც არ უნდა ეთამაშა დანიურ კლუბს, მეტოქეებთან გამარჯვებები, აიხსნებოდა მისდამი არასაკმაო ყურადღებით ან ფავორიტების ქედმაღლური დამოკიდებულებით მათდამი.

თბილისის "დინამო" დანიაში მატჩს კეთილსინდისიერად და სერიოზულად მიუდგა.ძალზე სწრაფად გაიგეს რა, რომ სწრაფი და ენერგიული თამაში მეტოქეს მაინცდამაინც არ ემარჯვება, დინამოელები შეუდგნენ თავისი უპირატესობის რეალიზაციას. 25 წუთის შემდეგ ანგარიში უკვე 2:0 იყო მათ სასარგებლოდ. ამასთან წარმატების მიღწევა სტუმრებს არც თუ დიდად გასჭირვებიათ: 25 მეტრიდან ზუსტი დარტყმით ჩივაძემ გახსნა ანგარიში, ხოლო, როცა მაჩაიძემ შორიდან დაარტყა კარში და მეკარემ ბურთი უკუაგდო, ყიფიანმა ძნელი პოზიციიდან მეორე ბურთი გაიტანა.

თბილისელებმა მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს თავს ძალდაუტანებლად თამაშის უფლება. ტაიმის დარჩენილი დრო და მთელი მეორე ტაიმი დინამოელები თამაშობდნენ გამარჯვებაში სავსებით დარწმუნებულნი. ამ ერთგვარი მოდუნების შედეგი იყო, რომ გოგიას კართან ხშირად ჩნდებოდნენ მეტოქის თავდამსხმელები. ბოლოსდაბოლოს ეს დინამოელებს გოლად დაუჯდათ, მაგრამ ამისთვის თბილისელების გაკილვა არ ღირს. მანამდე მათ მესამე გოლი გაიტანეს დანიელთა კარში (ჩელებაძე) მასპინძელთა ამ ერთადერთ წარმატებას თბილისელებმა უმალ უპასუხეს მეტოქის კარში გატანილი მეოთხე გოლით: ჩელებაძის ხელშეწყობით შენგელიამ ეფექტურად გაიტანა გოლი ცარიელ კარში.

თქმა არ უნდა, დინამოელები კარგად თამაშობდნენ, სწორად შეაფასეს რა მეტოქის შესაძლებლობები, ქართველმა ფეხბურთელებმა სანახაობრივად ლამაზი ფეხბურთი აჩვენეს, სწორედ ამიტომ იყო, რომ მაყურებლებმა ტაშით გააცილეს სტუმრები.

"სოვეტსკი სპორტი"
ლელო 22 ოქტომბერი 1977 წ.